სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 ოქტომბერი, 2024 წ.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/58

„ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (MES 1338189, 17.10.2024), წარმომადგენლობითი საბჭოს საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/10, 24.10.2024 წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ, გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის (N1 დანართის) **მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,2. **დასაქმებულის მიმართ წახალისების ღონისძიება ხორციელდება ერთჯერადად გასაცემი ფულადი ჯილდოს სახით,** ბსუ-ს კვლევის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებული ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სამეცნიერო საქმიანობის გეგმის/ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევის მუშაობის გეგმის შესაბამისად, **დარგის შესაბამის პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალში წინა ორი წლის** განმავლობაში **გამოქვეყნებული და Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS** (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ,,ბსუ-ს პერსონალის წახალისების მიზნისათვის განსაზღვრული ERIH PLUS ბაზაში შემავალი ჟურნალებისა და ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებული სტატიისათვის ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად) **ბაზებში ინდექსირებული სტატიისათვის/სტატიებისათვის, თუკი:**

ა) გამოქვეყნებულ სტატიაზე მითითებული იქნება სტატიის ავტორის აფილირება ბსუ-სთან და სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა (.....@bsu.edu.ge);

ბ) სამეცნიერო სტატია შესრულებული ან/და გამოცემული არ არის/არ ყოფილა ბსუ-ს შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ან/და ბსუ-ს ან/და სხვა წყაროს დაფინანსებით.“.

2. გადაწყვეტილება და კოდიფიცირებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარი).
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ კარალიძე**